USAID
ამერიკელი ხალხისგან

EECMD
აღმოსავლეთ ევროპის
ცენტრი მრავალპარტიული
დემოკრატიისათვის.

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

სამეგრელო-ზემო სვანეთი

საინვესტიციო პოტენციალის ანალიზი

სამეგრელო-ზემო სვანეთი
საინვესტიციო პოტენციალის ანალიზი

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
თბილისი 2022

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:
გიგი ორმოცაძე, თამარ ხორბალაძე, თედო ევგენიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

პუბლიკაცია მომზადდა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის პროექტის „რეგიონების უზრუნველყოფა ინფორმაციით და ამომრჩეველთა გაძლიერება დემოკრატიისთვის“ ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან (EPRC) თანამშრომლობით. იგი მიზნად ისახავს ამომრჩეველთა ცოდნის, უნარებისა და ორგანიზების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა მიაღწიონ ქვეყანაში ისეთი პოლიტიკური თუ საარჩევნო პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უკეთ უპასუხებენ მათ რეალურ საჭიროებებს.

პროექტი საქართველოს ხუთ რეგიონში: თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, იმერეთსა და აჭარაში ხორციელდება.

პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ტექსტის ავტორი და არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც აღმოსავლეთ ევროპის ცენტრის მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალური პოზიცია ან თვალსაზრისი.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EECMD
აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის.

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

შესავალი 4

პოლიტიკური და სამართლებრივი გარემოს შეფასება 5

საინვესტიციო გარემოს ძირითადი გამოწვევები საქართველოში 8

სამეგრელო-ზემო სვანეთი – მდებარეობა და ადმინისტრაციული მოწყობა 9

დემოგრაფიული სტრუქტურა 11

განათლების სექტორი 14

ბიზნეს გარემო 15

სოფლის მეურნეობა 17

შესაძლებლობები 19

ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი 21

შესაძლებლობები 22

ტურიზმი 23

შესაძლებლობები 24

ენერგეტიკა 26

შესაძლებლობები 28

დასკვნა 30

შესავალი

საქართველოს ეკონომიკური განვითარება და სიჯანსაღე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რეგიონული ერთეულების წარმატებულ საქმიანობაზე. დღევანდელი სტატისტიკის თანახმად, თბილისი არის ეკონომიკური განვითარების და, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარი ცენტრი. ინვესტიციების რეგიონული განაწილების დინამიკა ნათლად ასახავს, რომ საქართველოს საინვესტიციო გარემოს თბილისი ქმნის. ინვესტიციების ვარდნა და მატება პირდაპირ არის დაკავშირებული თბილისში მიმდინარე დინამიკასთან. 2020 წლის მაჩვენებლების მიხედვით, თბილისში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 70%-ით დაიკლო მაშინ, როდესაც სხვა რეგიონებში შემოდინებული ინვესტიციების მოცულობა თითქმის უცვლელი დარჩა. ამის მიზეზი ისაა, რომ 2009 წლიდან დღემდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის 73% თბილისზე მოდის (რასაც ინვესტიციების პორტფელურობა განაპირობებს), 10% აჭარაზე, 17% კი – სხვა ყველა რეგიონზე. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 2020 წელს 231.6 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა, რომლის 45% ტრანსპორტსა და დასაწყობებაზე მოდის, 31% ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდებაზე, 11% სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაზე.

ცხადია, რეგიონების მიერ საკუთარი საინვესტიციო პოტენციალის უკეთ ათვისება, ერთი მხრივ, შესაძლებლობას მისცემს მათ უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზაზე, ხოლო მეორე მხრივ - გადმოიბარონ წილი პასუხისმგებლობა და წაახალისონ ეკონომიკური დეცენტრალიზების პროცესი.

სწორედ ამიტომ, მოცემული დოკუმენტის მიზანია სამეგრელო-ზემო სვანეთის, მათ შორის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის შეფასება და ანალიზი, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონის სამომავლო ეკონომიკურ განვითარებას.

საინვესტიციო პოტენციალის ანალიზი წარმოადგენს პირველ ნაბიჯს, როგორც შესაძლებლობას ანალიზზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვის და წარმოებისთვის.

პოლიტიკური და სამართლებრივი გარემოს შეფასება

საქართველო გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანაა, დეკლარირებული ევროატლანტიკური არჩევანით. ქვეყანას აქვს უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებთან. აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები ევროკავშირთან, ჩინეთთან, თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან, ასევე ორმხრივი ხელშეკრულებები დსთ-ს წევრ ქვეყნებთან. ქვეყნის მნიშვნელოვანი გამოწვევაა გამართული, მიუკერძოებელი სამართლებრივი სისტემის არსებობა და მდგრადი პოლიტიკური გარემო, რაც ფუნდამენტური საჭიროებებია საერთაშორისო საინვესტიციო კაპიტალის მოსაზიდად.

ოლიგარქიული ტიპის მმართველობა საქართველოში ამცირებს ნდობას სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ და ზრდის არაფორმალური მმართველობისთვის დამახასიათებელ საფრთხეებს ინვესტორებისთვის.

ინვესტორებს საქართველოში აქვთ წვდომა ინვესტორ-სახელმწიფოთა დავის მოგვარების პროცედურებზე (investor-state dispute settlement ISDS), მათ შორის საერთაშორისო არბიტრაჟში, იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წესებს არღვევს. ამასთანავე, საქართველოს 33 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება, რომელიც ინვესტიციების სამართლებრივი ჩარჩოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია. საინვესტიციო ხელშეკრულებები, იცავს ინვესტორებს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ განხორციელებულ ინვესტიციებს ექსპროპრიაციისა და დისკრიმინაციისაგან. მიუხედავად ამისა საინვესტიციო სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგას. მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წელს მიღებული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ორგანული კანონით შექმნილი სამართლებრივი გარემო, რამაც გაართულა უცხოელი ინვესტორების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლებით შეძენის პროცესი. ამან უკვე იქონია ნეგატიური ზეგავლენა სოფლის მეურნეობის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვას აფერხებს ასევე სასამართლო სისტემის გადატვირთულობა რომელიც დავების გადაწყვეტის პროცესს კიდევ უფრო ახანგრძლივებს და წამგებიანს ხდის დავის პროცესს პოტენციური ინვესტორებისთვის. ნეგატიური შედეგის მომტანი იყო საქართველოს საინვესტიციო

პოტენციალისთვის ისეთი გახმაურებული საქმეები როგორიც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის და მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის – ნამახვანის ჰესის მშენებლობა იყო. ორივე შემთხვევაში, პროექტები შეჩერდა და ჩავარდა სახელმწიფოს არასათანადო პოზიციონირების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობას უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ერთი პოლიტიკური პარტია – „ქართული ოცნება“ მართავს, საგრძნობია პოლიტიკური სტაბილურობის ნაკლებობა, რაც გამოიხატება მინისტრთა კაბინეტის ხშირ ცვლილებებში, ხშირ და მასობრივ საპროტესტო აქციებში, კონსტრუქციული თანამშრომლობის ნაკლებობაში მმართველ და ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს შორის, საერთაშორისო შეთანხმებების შესრულების ტემპისა და ხარისხის გაუარესებაში, საერთაშორისო დემოკრატიულ რეიტინგებსა და ინდექსებში ქვეყნის უკუსვლაში. მიუხედავად, მთელი რიგი გამოწვევებისა „ქართული ოცნება“ ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩატარებულ ადგილობრივ და საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებლად ახერხებს გამარჯვებას. აღსანიშნავია, რომ არჩევნების შედეგები სრულ ლეგიტიმაციას საზოგადოებისგან ვერ იღებს და შეიძლება ითქვას რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას არჩევნებიდან არჩევნებამდე უწევს ლეგიტიმაციის კრიზისთან გამკლავება. ეს უკანასკნელი განპირობებულია საარჩევნო სტრუქტურის, არათანაბარი რესურსების და პოლიტიკური მოვლენების გავლენაზე საარჩევნო პროცესზე, რომელიც მმართველ გუნდს არათანაბარი კონკურენციის პირობებში უპირატესობას ანიჭებს.

საინტერესო გამონაკლისს, წარმოადგენს წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, რომელიც ერთადერთი მუნიციპალიტეტია, სადაც მერი ოპოზიციის წარმომადგენელია. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი საინტერესო შესაძლებლობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების და საინვესტიციო პოტენციალის ამაღლებისათვის.

თუმცა, ამ პოტენციალის სრულფასოვან რეალიზაციას რეგიონული საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით ართულებს ის ფაქტი, რომ საქართველოში საკმაოდ შეზღუდულია ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებები და, ამას გარდა, ოპოზიციურად განწყობილი თვითმმართველობების პირობებში, სახელისუფლებო ძალები ცდილობენ ადგილზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაჭიანურებას (მაგალითად ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების გაჭიანურებისა თუ სხვა გზებით).

მუნიციპალური შემოსავლები იყოფა სამ კატეგორიად: გადასახადები, გრანტები და შემოსავლები. გადასახადებით მიღებულ შემოსავლებში მოიაზრება ადგილობრივი გადასახადები, როგორიც არის ქონების და მიწის გადასახადი, ასევე დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) რომელიც მუნიციპალიტეტებს შორის ნაწილდება სახელმწიფო ბიუჯეტში შესული ჯამური თანხიდან. გრანტების მუხლით აღირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები და

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები: მიზნობრივი ტრანსფერები, კაპიტალური ტრანსფერები, სპეციალური ტრანსფერები. სხვა შემოსავლების მუხლი მუნიციპალური სახსრების ყველა სხვა წყაროს, მათ შორის:

- შემოსავლები საკუთრებიდან;
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები (მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და სხვ.); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (შემოსავლები მომსახურების გაწევიდან);
- ჯარიმები, სანქციები და საურავები;
- შერეული და სხვა;

ციფრობრივად ყველა ამ შემოსავალში რეგიონული ბიუჯეტის მთავარი წყარო ცენტრიდან გამოყოფილი სპეციალური, მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერები და გრანტებია, რაც რეგიონს მნიშვნელოვნად დამოკიდებულს ხდის ცენტრალურ ხელისუფლებაზე და მის კეთილგანწყობაზე.

ინვესტიციებისთვის საინტერესოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა, ცხადია, უფლებამოსილია განკარგოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მიწა და შენობები), თუმცა მსხვილი ობიექტების შემთხვევაში, ხშირად რეგიონის ტერიტორიაზე არსებული ქონება ცენტრალურ – ქვეყნის ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

საინვესტიციო გარემოს ძირითადი გამოწვევები საქართველოში

ზოგადად, საინვესტიციო გარემოს ძირითად გამოწვევებზე საუბრისას, ცხადია, ფოკუსი უფრო ფართოა, ვიდრე ჩვენი სამიზნე რეგიონი. თუმცა პრობლემები, რომელიც ამ გზაზე არსებობს, როგორც წესი – ხშირად მთელ ქვეყანაზე და, მათ შორის – მის რეგიონებზე ვრცელდება.

სწორედ ამიტომ, საინტერესოა რამდენიმე აქცენტი ზოგადად საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ: ერთის მხრივ, OECD-ის ინდექსის მიხედვით, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა უცხოელი ინვესტორებისთვის. რეგულაციები და შეზღუდვები მხოლოდ რამდენიმე სექტორში არსებობს და ეს შეზღუდვებიც სრულად თანხვედრაში მოდის OECD-ის სხვა წევრი ქვეყნების რეგულაციებთან. ძირითადი ეკონომიკური სექტორები რომლებიც იზიდავენ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს თითქმის სრულად ღიაა საერთაშორისო კაპიტალისთვის (საფინანსო სექტორი, მრეწველობა და აშ.). მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის სექტორებში, როგორებიც არის ავიაცია, სატყეო მეურნეობა, ტრანსპორტირება, უძრავი ქონება და მედია, მოქმედებს შეზღუდვები და რეგულაციები საერთაშორისო ინვესტორებისთვის. თუმცა რეგიონებისთვის, სადაც ინვესტირების მნიშვნელოვან სფეროდ შეიძლება სოფლის მეურნეობა განისაზღვროს, მნიშვნელოვანი შეზღუდვაა ის, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოეთის მოქალაქის საკუთრებაში გადაცემა აკრძალულია.

სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ ინვესტორების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ობიექტს, საქართველოში ინვესტიციის განხორციელების პროცესში წარმოადგენს: კვალიფიციური სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა; საერთაშორისო გადაზიდვები (აეროპორტები, საერთაშორისო ბაზრებთან წვდომის სიმარტივე); ხარისხიანი განათლების სისტემა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები; ბიზნესის ფუნქციონირების გამჭვირვალე პროცედურები; ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა (ტრანსპორტი, საწყობები, მზა შენობები); პოლიტიკური სტაბილურობა და კანონის აღსრულება; სასამართლო სისტემისადმი ნდობა და მისი დამოუკიდებლობა; ინვესტორებთან არსებული, გაჭიანურებული სასამართლო დავები; სექტორის განვითარების დონე და წარმოების ჯაჭვის არსებობა; სამუშაო ძალის დანახარჯები; ვალუტის კურსის ხშირი მერყეობა; განუვითარებელი კაპიტალის ბაზარი და ა.შ.

ცხადია, ამ საკითხთა უმრავლესობა ცენტრალურ დონეზე გადასაწყვეტი საკითხებია, თუმცა ცალკეულ რეგიონებს, ზოგიერთ საკითხში (მაგალითად ისეთში, როგორიცაა სამუშაო ძალა და განათლება, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და ა.შ) აქვს თავისი რეგიონული თავისებურებები და მახასიათებლები, რომლებიც შესაძლოა გასათვალისწინებელი იყოს როგორც პირდაპირი უცხოური, ისე შიდა ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

სამეგრელო-ზემო სვანეთი – მდებარეობა და ადმინისტრაციული მონყობა

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი მოიცავს საქართველოს ტერიტორიის 10.8%-ს. რეგიონი ესაზღვრება შავ ზღვას, აფხაზეთს, იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს, გურიას და რუსეთის ფედერაციას. სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონი მოიცავს 9 ადმინისტრაციულ ერთეულს:

1. ქალაქი ფოთი;
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი;
3. მარტვილის მუნიციპალიტეტი;
4. მესტიის მუნიციპალიტეტი;
5. სენაკის მუნიციპალიტეტი;
6. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი;
7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი;
8. ხობის მუნიციპალიტეტი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი 972.3 ათასი ლარია. 967.3 ათასი ლარი ხარჯებზე არის გადანაწილებული, 5 ათასი ლარი კი არაფინანსური აქტივების ზრდაზე. წალენჯიხის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის 2022 წლის დაზუსტებული შემოსავლები 11091.1 ათასი ლარია, რომლის 94%-იც გადასახადებიდან გენერირდება, დანარჩენი კი გრანტებით (2%) და სხვა შემოსავლებით (4%). წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხარჯებში უდიდესი წილი 56% სუბსიდიებზე და შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება. დეტალურად შეგიძლიათ ნახოთ ქვემოთ:

დასახელება	2022 წლის დაზუსტებული გეგმა (ათასი ლარი)
შემოსავლები	**11,091.1**
გადასახადები	10,466.1
გრანტები	225.0
სხვა შემოსავლები	400.0
ხარჯები	10,520.1
შრომის ანაზღაურება	2,342.0
საქონელი და მომსახურება	915.0

პროცენტი	81.0
სუბსიდიები	5,934.8
გრანტები	0
სოციალური უზრუნველყოფა	707.0
სხვა ხარჯები	540.3

დემოგრაფიული სტრუქტურა

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საქართველოს სრული მოსახლეობის 8.27%-ია დასახლებული (იხ. გრაფიკი 1.). რეგიონის მოსახლეობის 40% ქალაქში ცხოვრობს, დანარჩენი 60% სასოფლო დასახლებებში. რეგიონის მოსახლეობა 2002 წლიდან მოყოლებული 2021 წლამდე კლების სტაბილური დინამიკით ხასიათდება. ყოველწლიურად სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა წინა წელთან შედარებით 1-2% იკლებს და უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მოსახლეობა დაახლოებით 1/4-ით არის შემცირებული (იხ. გრაფიკი 2). მოსახლეობის კლების დინამიკას ხელს უწყობს, ბუნებრივი მატების ნეგატიური სალდო – მოცემულ დროით მონაკვეთში ყოველწლიურად რეგიონში გარდაცვლილთა რაოდენობა აღემატება ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებრივი მატების სალდო უარყოფითია როგორც ქალაქებში ასევე სასოფლო დასახლებებში, თუმცა არათანაბარი გადანაწილებით. სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით, მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი კლება. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც რეგიონის მოსახლეობის კლებას განაპირობებს, არის მობილობა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონულ დონეზე მონაცემები არ არსებობს, ეროვნული მაჩვენებლების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიგრაციის მთავარ მიზეზებს რეგიონის უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთში სამუშაო ძალის 15.9% არის უმუშევარი რაც საქართველოს მაჩვენებელს 18.5%-ზე ნაკლებია, თუმცა, უფრო დეტალური ანალიზის შემთხვევაში ვნახავთ, რომ დასაქმებულთა 44% თვითდასაქმებულია, რომელთა უმეტესი ნაწილიც შინა მეურნეობით არის დაკავებული.

საქართველოს მოსახლეობის წილი რეგიონების მიხედვით (საქსტატი)





სამეგრელო-ზემო სვანეთი რეგიონის მოსახლეობის დაბერების ტენდენცია გამოიკვეთა რეგიონის მოსახლეობის 2002 და 2014 წლის პირამიდების შედარებისას (იხ. გრაფიკი 4 და გრაფიკი 5). 2002 წელს მოსახლეობის უმეტესობა სამუშაო ძალას წარმოადგენდა, ანუ ახალგაზრდა იყო. 2014 წლისთვის სურათი შეცვლილია, სამუშაო ძალა იწყებს დაბერებას, პროპორციულად შემცირდა ახალი სამუშაო ძალისა და ახალგაზრდების ხვედრითი წილი რეგიონის მოსახლეობაში. მოსახლეობის დაბერებასთან ერთად, სამუშაო ძალაზე დამოკიდებული ადამიანების წილი სრულ მოსახლეობაში იზრდება. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონის მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებულია, საპენსიო ასაკთან ერთად ისინი არ ტოვებენ ეკონომიკურ აქტივობას, თუმცა მცირდება მათი სამუშაო პროდუქტიულობა. მოსახლეობის ასაკობრივი გადანაწილების მოცემული დინამიკა წარმოადგენს გამოწვევას მომავალი თაობებისთვის და აუცილებელს ხდის, რომ სამუშაო ძალის შემცირების პირობებში მისი ეფექტურობა გაიზარდოს. იმისათვის, რომ რეგიონმა განაგრძოს ეკონომიკური განვითარება, აუცილებელია სამუშაო ძალამ შეძლოს უფრო მეტი ეკონომიკური დოვლათის შექმნა, ვიდრე ამას აქამდე ახერხებდა. რადგანაც, ერთი მხრივ, გაიზრდება სამუშაო ძალაზე დამოკიდებული მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო, მეორე მხრივ, შემცირდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი. მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს რეგიონში დასაქმებული მოსახლეობის წილი ისეთ ეკონომიკურ სექტორებში, რომლებიც უფრო დიდ დამატებით ღირებულებას ქმნიან, ვიდრე არსებული საქმიანობები. ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე იოლია რეგიონში არსებული სამუშაო ძალის უნარების განვითარება დამატებითი ინვესტიციების მოზიდვითა და ალოკაციით საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში.





რაც შეეხება უშუალოდ წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – რეგიონში 2021 წლის 1 იანვრის მონაცემებით 23 300 ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის 4600-მდე – ქალაქის ტიპის დასახლებებში (წალენჯიხა, ჯვარი) და 18700-მდე – სოფლის ტიპის დასახლებაში; 2015 წელს რეგიონში 26000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა[1]. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა თანხვედრაშია მთლიანად სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის დინამიკასთან;

1 Geostat.ge ქალაქების და დაბების მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით;

განათლების სექტორი

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის წვდომა ხარისხიან და თანამდეროვე განათლებაზე, წარმოადგენს საინვესტიციო შესაძლებლობას. დღეისათვის რეგიონი ხასიათდება საშუალო სკოლების სიჭარბით მოსახლეობასთან შედარებით. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოსახლეობის ფართო გადანაწილებაა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, არსებულ სკოლებში მოსწავლეთა რიცხოვნობა კიდევ უფრო მცირეა. 2021 წლისთვის წალენჯიხაში ფიქსირდება 31 საშუალო სკოლა, რომელშიც დაახლოებით 3592 მოსწავლე სწავლობს. შესაბამისად, წალენჯიხაში საშუალოდ თითო სკოლაში 116 მოსწავლე სწავლობს, რაც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე - 174 მოსწავლეზე უფრო მცირეა.

სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში არსებული პროფესიული სასწავლებლებიც მნიშვნელოვან საინვესტიციო წინაპირობასა და შესაძლებლობას წარმოადგენენ. თანამედროვე და მოთხოვნადი უნარების განვითარება გააადვილებს ადამიანურ რესურსებზე ორიენტირებულ ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას. 2021 წლის მონაცემებით რეგიონში 6 პროფესიული განათლების ცენტრია – 2 კერძო და 4 საჯარო. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელთან შედარებით რაოდენობა შემცირებულია, 3 კერძო პროფესიული განათლების ცენტრი დაიხურა, თუმცა წინა წლებთან შედარებით გაზრდილია ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა. 2021 წელს პროფესიულ სასწავლებლებში ჩაირიცხა 1235 სტუდენტი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სულ რეგისტრირებულია 64051 საწარმო, რომელთაგანაც 15142 საწარმო არის ეკონომიკურად აქტიური. საქართველოში ეკონომიკურად აქტიური საწარმოების 7.48% მოქმედებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. მათგან 22 ეკონომიკური სუბიექტი არის მსხვილი ზომის, რაც საქართვლოში აქტიური მსხვილი ზომის სუბიექტების 3.74%-ს შეადგენს. 131 ეკონომიკური სუბიექტი არის საშუალო ზომის, ანუ საქართველოში აქტიური საშუალო ზომის სუბიექტების 4.57%-ია. ხოლო 14200 არის მცირე ზომის, რაც საქართველოში აქტიური მცირე ზომის სუბიექტების 7.56%-ს უტოლდება. 789 ეკონომიკური სუბიექტის ზომა კი არ არის იდენტიფიცირებული. 2020 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთში ეკონომიკურად აქტიურმა სუბიექტებმა 2273.3 მილიონი ლარის მოცულობის პროდუქტი გამოუშვეს, რომელიც მათი ზომის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: მსხვილი 26%, საშუალო 36%, მცირე 37%. რეგიონში შექმნილი დამატებითი ღირებულება 986,6 მილიონ ლარს უტოლდება, რომლის 33% მსხვილმა, 29% საშუალო და 37% მცირე ზომის ეკონომიკურმა სუბიექტებმა შექმნეს.

მოქმედი ბიზნესსუბიექტების დანაწილება საქმიანობის სფეროს მიხედვით, 2019



სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოქმედი ეკონომიკურად აქტიური სუბიექტების უმეტესი ნაწილი საბითუმო და საცალო ვაჭრობით (52%) არის დაკავებული. აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობებს წარმოადგენს ტრანსპორტი და დასაწყობება (14%) და დამამუშავებელი მრეწველობა

(9%). დარგების ზომების მიხედვით კომპანიების განაწილება შემდეგია: 38% ტრანსპორტისა და დასაწყობების სფეროშია თავმოყრილი, 25%-25% კი დამამუშავებელ მრეწველობასა და განათლებაში. საშუალო ზომის კომპანიების შემთხვევაშიც ყველაზე მეტი მათგანი ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სფეროშია და მათი წილი 27%-ს შეადგენს. საშუალო კომპანიათა 19% დამამუშავებელ მრეწველობას წარმოადგენს, ხოლო 14% ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობას. მცირე ზომის კომპანიები კონცენტრირებული სამ დარგში არის კონცენტრირებული: საბითუმო და საცალო ვაჭრობა – 52%, ტრანსპორტი და დასაწყობება 13% და დამამუშავებელი მრეწველობა 9%.

საქმიანობის სფერო	სამეგრელო ზემო სვანეთი			
	მცირე	საშუალო	მსხვილი	სულ
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	52%	5%	13%	52%
ტრანსპორტი და დასაწყობება	13%	27%	38%	9%
დამამუშავებელი მრეწველობა	9%	19%	25%	9%
მშენებლობა	4%	8%	0%	4%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	4%	0%	0%	4%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული	3%	0%	0%	3%
სხვა სახის მომსახურება	3%	0%	0%	3%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	2%	14%	0%	2%
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა	2%	0%	0%	2%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	2%	0%	0%	2%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1%	4%	0%	2%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1%	6%	0%	1%
განათლება	1%	5%	25%	1%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1%	0%	0%	1%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1%	0%	0%	1%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0%	6%	0%	0%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0%	3%	0%	0%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0%	1%	0%	0%

სოფლის მეურნეობა

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობაში არის ჩართული. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო განვითარება ხელს შეუწყობს თვითდასაქმებული მოსახლეობის ეკონომიკურ განვითარებას. 2020 წლის მონაცემების მიხედვით, სამეგრელო-ზემო სვანეთი ლიდერია სიმინდი როგორც წარმოების, ასევე ნათესი ფართობის მიხედვით. საქართველოში წარმოებული სიმინდის 27% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონზე მოდის (იხ გრაფიკი 8). რეგიონი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხილის წარმოებაშიც. 2020 წელს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 34.6 ათასი ტონა ხილი მოიყვანეს, რაც საქართველოში წარმოებული ხილის 15%-ს წარმოადგენს (იხ გრაფიკი 9). საქართველოს მხოლოდ ორ რეგიონში (შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი) აწარმოეს უფრო დიდი მოცულობით ხილი ვიდრე სამეგრელო-ზემო სვანეთში. კაკლოვანი (44%) და სუბტროპიკული (37%) ხილის უმეტესობა სწორედ აღნიშნულ რეგიონში იწარმოება (იხ გრაფიკი 10, 11). საქართველოში წარმოებული თხილის 54%-ის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონზე მოდის. მიუხედავად იმისა, რომ ბოსტნეულის მხოლოდ 6% არის წარმოებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (იხ გრაფიკი 12), აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმას რომ აღნიშნულ რეგიონში ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობა აღემატება ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს და უფრო მაღალი პროდუქტიულობით ხასიათდება. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აქტიურად მისდევენ მეცხოველეობასაც. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 20% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია რეგისტრირებული. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის მაჩვენებლით რეგიონი პირველია, ასევე, რეგიონი საქართველოში წარმოებული რძის 16%-ს აწარმოებს. რეგიონი ასევე ლიდერობს ღორის სულადობით და დაახლოებით საქართველოში რეგისტრირებული ღორების 24%-ს ითვლის. თხის 20% და ფრინველის10% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არის რეგისტრირებული.

სიმინდის წარმოება (ათასი ტონა)



ხიზის წარმოება რეგიონების მიხედვით წარმოება (ათასი ტონა)



კაკლოვანი ხიზის წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)







შესაძლებლობები

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორი კარგად არის განვითარებული, განსაკუთრებით სიმინდის, ხილისა და მეცხოველეობის მიმართულებით, იოლი იქნება დამატებით შესაძლებლობების შექმნით ახალი დაინტერესებული აქტიორების მოზიდვა. ზემოთ აღნიშნული სასოფლო სამეურნეო მიმართულებები პროდუქტიულია, კარგად არის შესწავლილი და შესაბამისად წარმოადგენს უსაფრთხო საინვესტიციო შესაძლებლობას მცირე და საშუალო ზომის საინვესტიციო კაპიტალის მოსაზიდად. პროცესს რეგიონში არსებული საქმის ცოდნა, გამოცდილი სამუშაო ძალა და ისტორიული მემკვიდრეობა უწყობს ხელს.

საინტერესო საინვესტიციო შესაძლებლობას წარმოადგენს ბოსტნეულის წარმოებაც. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის რეგიონში დიდი რაოდენობით ბოსტნეული არ იწარმოება, მაღალი წარმოების პროდუქტიულობა ქმნის შესაძლებლობას, რომ სექტორში ინვესტირების შემთხვევაში წარმოების წილიც გაიზარდოს, რაც მაღალი ეფექტურობის პირობებში მიმზიდველ საინვესტიციო შესაძლებლობას წარმოადგენს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სუბტროპიკული, ჩრდილოეთით კი, სუბ-ალპური და ალპური კლიმატი, წყლის უხვ რესურსებთან ერთად ქმნის საინტერესო ბუნებრივ გარემოს არაენდემური ჯიშების კულტივაციის და გავრცელებისთვის. საინტერესო პრეცედენტს წარმოადგენს 2010 წლიდან კივის ბაღების გაშენება სამეგრელოში, რომელიც რეგიონისთვის არაენდემურ ჯიშს წარმოადგენდა, თუმცა, ბუნებრივი და კლიმატური მახასიათებლების გათვალისწინებით ეფექტური და წარმატებული ინიციატივა გამოდგა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში კარგად არის განვითარებული ჩაის წარმოებისა და გადამუშავების პრაქტიკები, რაზეც მასში მოქმედი მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოები მეტყველებენ. სს „წალენჯიხა-კოლხეთი“ მსხვილი საწარმოა, რომელიც ჩაის პროდუქციის წარმოებითა და ექსპორტით არის დაკავებული. მსგავს საქმიანობას მისდევენ სპს „ჯვარი 93“, ი/მ „შოთა გელოვანი“ საშუალო ზომის საწარმოები. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საშუალო ზომის თხილის გადამამუშავებელი ქარხნებიც შპს „ლეგი“ და ი/მ „სალია ბადრი“. არსებული პრაქტიკებიდან და ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, ინვესტიციები თხილისა და ჩაის წარმოების მიმართულებით საინტერესო შესაძლებლობას წარმოადგენს, რადგანაც ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილება უკვე არსებობს და მოქმედი საწარმოების ემულაციით და მათზე დამყარებული გამოცდილებით შესაძლებელია ახალი საწარმოების აწყობა.

გამართული რეგიონული ინფრასტრუქტურა ინვესტიციების მობილიზების და მოზიდვის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გადაუჭრელ გამოწვევად რჩება შინამეურნეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა (იხ, გრაფიკი 13). მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოწვევა ზემო სვანეთის რეგიონის ბუნებრივი აირით ნაკლული მომარაგებით არის განპირობებული, ის რეგიონისთვის აუცილებლად გადასაჭრელ გამოწვევას წარმოადგენს საინვესტიციო პოტენციალის ათვისების პირობებში.

ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი შინა მეურნეობების რაოდენობა (%)



რეგიონის ეკონომიკურ ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში ხელს უწყობს გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებობა. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული საავტომობილო გზების მხოლოდ პატარა ნაწილი არის საერთაშორისო მნიშვნელობის, ხოლო უმეტესი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა (იხ გრაფიკი 14, 15). აღსანიშნავია ისიც, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე გადის რკინიგზების თბილისი-სენაკი-ფოთის, თბილისი-სენაკი-ზუგდიდის, სატრანზიტო და სატრანსპორტო გზები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შიდა და საერთაშორისო გადაზიდვების კუთხით. სამეგრელო-ზემო სვანეთის უმნიშვნელოვანეს ლოგისტიკურ ცენტრს წარმოადგენს ფოთის

პორტი, რომელიც საქართველოს მასშტაბით ყველაზე დიდი ეკონომიკური აქტივობის პორტია. 2019 წლის მონაცემებით, 6,8 მილიონი ტონა ტვირთბრუნვა განხორციელდა, რაც წინა წლებთან შედარებით ნაკლებია, თუმცა სხვა პორტებთან შედარებით – რამდენჯერმე მეტი.

შესაძლებლობები

რეგიონის ჩართვა საერთაშორისო და ადგილობრივ მიწოდების ჯაჭვებში და მისი ლოგისტიკური პოტენციალის რეალიზება მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოსახლეობას. გაჩნდება ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები, სამუშაო ადგილები, გაიზრდება ცხოვრების ხარისხი. ტრასპორტირების და ლოგისტიკის მიმართულებით რეგიონს გააჩნია პოტენციალი, რაც შავი ზღვის სანაპიროს უკეთ ათვისებას უკავშირდება. საინტერესო შესაძლებლობას წარმოადგენდა ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა (ანაკლია), რაც გაზრდიდა რეგიონის მნიშვნელობას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. მისი გავლენა პოზიტიურად გავრცელდება როგორც რკინიგზის, ასევე საერთაშორისო საავტომობილო ტვირთბრუნვის სექტორებში. ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობით დაინტერესებული საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვას, უეცარი პოზიტიური გავლენა ექნებოდა რეგიონის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. რეგიონისთვის ფოთის პორტის მოდერნიზაცია და მისი ღრმაწყლოვანი მისადგომის შექმნაც შეიძლება იყოს შესაძლებლობა მომავალი საინვესტიციო პოტენციალისთვის (შეგახსენებთ, რომ შესაბამისი უფლებისთვის ხელისუფლებას პორტმა 2020 წელს მიმართა და შესაბამისი პროექტის განხორციელებაც დაიწყო).





წალენჯიხის მუნიციპალიტეტს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების თვალსაზრისით განსაკუთრებული პოტენციალი, ამ ეტაპზე, არ გააჩნია, თუმცა, მისი სიახლოვე ფოთის პორტთან და, იმედი გვინდა ვიქონიოთ – პერსპექტივაში ანაკლიის პორტთან, საექსპორტო პროდუქციის წარმოებისთვის, საინტერესო საინვესტიციო ლოკაციად აქცევს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი აქტიურად არის ჩართული ტურიზმის სექტორში. რეგიონი გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობით და ისტორიით ხასიათდება, მრავლად არის ისტორიული ძეგლები და ბუნებრივი ტურისტული მიზიდულობის მქონე ლოკაციები. თუმცა, მიუხედავად ამისა, 2019 წლამდე (განახლებული სტატისტიკა არ არსებობს) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა, სიმწირის გამო, ცალკე არ ითვლებოდა, ხოლო სხვა რეგიონებთან ერთად (შიდა ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა საერთო ვიზიტორების 5%-ს არ აღემატებოდა. უფრო მეტი ინტერესი არსებობს რეგიონის მიმართ ადგილობრივ ვიზიტორებში (იხ. გრაფიკი 16). რეგიონში 591 განთავსების ობიექტია, ყველა სხვა რეგიონთან შედარებით უფრო მეტი, თუმცა ჯამში მათი რაოდენობაა 9 348 საწოლი, რაც ნიშნავს იმას, რომ საშუალოდ რეგიონში არსებული განთავსების ობიექტები პატარა ზომისაა. რეგიონში არსებული განთავსების ობიექტების მხოლოდ 10%-ს აქვს ათზე მეტი ოთახი, ხუთი ან ნაკლები ოთახი აქვს 63%-ს, ექვსიდან ათ ოთახამდე აქვს 27%-ს. სტატისტიკა მეტყველებს იმაზე, რომ ტურიზმის სექტორში ჩართული ობიექტების უმეტესობა მცირე ზომის სასტუმრო სახლებია ან კიდევ საოჯახო სასტუმროები. დიდი ზომის სასტუმროების საჭიროება ტურისტული ნაკადების ზრდასთან ერთად აუცილებლად გაჩნდება, რაც ერთგვარ პოტენციურ საინვესტიციო შესაძლებლობას წარმოადგენს.

შიდა ვიზიტების რაოდენობა (ათასი)



განთავსების ობიექტების რაოდენობა რაოდენობა რეგიონების მიხედვით



სანოლი ადგილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



შესაძლებლობები

რეგიონს აქვს უხვი პოტენციალი ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებებით. გამოცდილებისა და კულტურული ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალია სამეგრელოს რეგიონში, ზემო სვანეთის რეგიონი კი სამთო, სათხილამურო და ექსტრემალური ტურიზმის მიმართულებით განვითარების მრავალ შესაძლებლობას ფლობს. ტურიზმის სექტორის, მიმდინარე გლობალური გამოწვევების პირობებში მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა საქართველოში ჩამოსული ვიზიტორების უმნიშვნელო წილს შეადგენს, რისკი, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში საერთაშორისო ტურისტების მოზიდვა ვერ მოხერხდება, უმნიშვნელოა. შესაბამისად, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს აქვს დიდი პოტენციალი მოიზიდოს მცირე და საშუალო ზომის ინვესტიციები ტურიზმის სექტორში. რაც პოზიტიურ გავლენას იქონიებს როგორც ადგილობრივ ბიზნესზე, ასევე მოსახლეობაზე.

რაც შეეხება წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – საკმაოდ მწირია უშუალოდ მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებთან დაკავშირებული ეკონომიკური კვლევები და მონაცემები ამ მიმართულებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ რეგიონში მდებარეობს საქართველოში ყველაზე მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის – „ენგურჰესის" თაღოვანი კაშხალი. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის განკარგულებით, ენგურის კაშხლის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ატრაქციის შექმნა იგეგმება. აღნიშნული პროექტი აღმოჩენათა ცენტრის, გადასახედი პლატფორმების, პანორამა ლიფტის, საბაგირო გზისა და ზიპლაინის მოწყობას, ამავდროულად წყლის სპორტის სახეობების განვითარებას ითვალისწინებს. ხელისუფლების გათვლებით, ენგურის ტურისტული ზონა წელიწადში სავარაუდოდ 400 ათასამდე ტურისტს მოემსახურება. აღნიშნული პროექტის განხორციელებამ რეგიონში დამატებითი მსხვილი ტურისტული ატრაქცია უნდა შექმნას, რაც გაზრდის ადგილზე როგორც ადგილობრივი, ისე – საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობას. ეს კი, ტურისტული ინვესტიციების მოძიებისთვის შეიძლება იყოს საინტერესო.

იმისათვის, რომ ტურისტული ინვესტიციების მოზიდვა რეალისტური იყოს და მუნიციპალიტეტის დაფარვა არ მოხდეს მხოლოდ რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტის ცენტრებიდან (მაგალითად ზუგდიდიდან, მისი სასტუმროებიდან და ა.შ.), მნიშვნელოვანია ადგილზე ტურისტული მარშუტებისა და არსებული კულტურული შესაძლებლობების განვითარება, რაც საკმაოდ დაბალ მაჩვენებელზეა. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ წალენჯიხის სათავგადასავლო ტურიზმის პერსპექტივის შესწავლამ[2] აჩვენა, რომ საერთაშორისო ტურისტებისთვის განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება იყოს რეგიონში ეკოტურიზმის მიმართულება – დღესაც არსებობს გამოცდილება, როცა ტურისტები მიემართებიან ძირითადად მაღალმთიან სათავგადასავლო ტურისტულ მარშრუტებზე, ისეთებზე, როგორიცაა – ტობავარჩხილი, მდინარე ინწრას სათავე და მთელი ხეობა, ყვირას მთა, წიფურონა (წიფლნარი), კერნახონა და სხვა. მნიშვნელოვანი იყო, რომ, კვლევის თანახმად, არ არსებობს ადგილზე ტურისტული კომპანიები, რომელიც რეგიონში ჩამოსულ ტურისტს სხვადასხვა მარშრუტებს შესთავაზებდა და რომელთა მარშუტებიც ინტეგრირებული იქნებოდა საქართველოს მსხვილი ტურისტული კომპანიების მარშრუტებში; ტურისტთა დიდ ნაწილს ადგილზე არ უსარგებლია კვების მომსახურებით; დასარჩენად კი ყველაზე მოთხოვნადი და პერსპექტიული გესთჰაუზები იყო, სადაც გასტროტურიზმის ელემენტების ჩართვა შეიძლება. შესაბამისად, სათავგადასავლო ტურიზმის ხელშეწყობისთვის, პირველ რიგში – ხელისუფლებამ დამატებითი ტურისტული ატრაქციების მოწყობაზე – მომსახურების ინფრასტრუქტურის შექმნაზე უნდა იზრუნოს, რასაც კერძო ინიციატივაც უდაოდ მოჰყვება. შესაბამისად – ეკოტურიზმისა და გასტროტურიზმის მიმართულება მუნიციპალიტეტისთვის საკმაოდ საინტერესოა.

2 მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში. 2018

სამრეწველო და სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვა და საქმიანობა უსაფრთხო ენერგოგარემოს გარეშე შეუძლებელია. ინვესტორები, რომლებიც შეიძლება დაინტერესდნენ რეგიონით, როგორც საინვესტიციო შესაძლებლობით, აუცილებლად დაუთმობენ დიდ ყურადღებას უსაფრთხო ენერგოსტრუქტურის არსებობას. 2021 წლისთვის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის შინამეურნეობების 100% უზრუნველყოფილია ელექტრო ენერგიით, მაშინ როდესაც შინამეურნეობათა მხოლოდ 54.8% არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით[3]. რეგიონში არსებობს გამოწვევები წყალმომარაგების მიმართულებითაც. რეგიონის მხოლოდ 40.7%-ს აქვს ბინაში შეყვანილი წყლის სისტემა და 9.8%-ს წყალსადენის ონკანი ეზოში ან უბანში მაშინ, როდესაც 47.9% სარგებლობს ეზოში ან უბანში არსებული ჭით, ხოლო 1.6% ბუნებრივი წყაროთი.

ენერგეტიკის ანალიტიკური წყაროების თანახმად, რეგიონი ხასიათდება გეო-თერმული წყლის რესურსებით, მზის და ბიომასის ენერგეტიკული[A1] პოტენციალით, რომლის ათვისების შემთხვევაში საინვესტიციო მიმზიდველობა გაიზრდება, რაც ენერგო უსაფრთხოებით, განახლებადი ენერგო წყაროებით[A2] და დაბალი ტარიფებით იქნება განპირობებული. თუმცა, რეალურად, ამ ეტაპზე ამ მიმართულებით აქტივობა ნაკლებად არის დაგეგმილი. უფრო რეალისტურია საქართველოში უფრო ადაპტირებული – ჰესების პროექტების განხორციელება.

აღნიშნულ რეგიონში დღეისთვის მოქმედებს საქართველოს მასშტაბით ყველაზე მსხვილი ჰესი - „ენგურჰესი“, რომელიც საქართველოს ელექტროენერგიის წარმოების მნიშვნელოვანი წყაროა. კერძოდ, ენგურჰესის თაღოვანი კარკასი მდებარეობს კონკრეტულად წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, რაც მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვან დატვირთვას ანიჭებს არა მხოლოდ ელექტროენერგეტიკის წარმოების მიმართულებით, არამედ ქმნის საინტერესო პერსპექტივებს ტურისტული ინვესტიციებისთვის. (აღნიშნულის შესახებ ზემოთ, ტურისტულ მიმართულებაზე საუბრისას აღვნიშნეთ).

3 Geostat.ge

ამას გარდა რეგიონში ასევე არის მცირე ჰესი – სქურჰესი – დერივაციული ტიპის, მოდინებაზე ორიენტირებული მცირე ჰესი, რომელიც მდებარეობს მდინარე ჭანისწყალზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. ჰესის დადგმული სიმძლავრე 1.02 მგვტ-ია, ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება 5 მლნ კვტ.სთ. სქურჰესი 1958 წლიდან არის ექსპლუატაციაში და ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 10 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით მიეწოდება საქართველოს ელექტროსისტემას.

ამჟამად რეგიონში მიმდინარე პროექტებს შორის ძირითადად მიმდინარე და სამომავლო პროექტები ენერგოდისტრიბუციის მიმართულებითაა განსაზღვრული. კერძოდ, მიმდინარე პროექტია 500 კვ ეგხ „ჯვარი-წყალტუბო“-ს მშენებლობა, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეგხ „იმერეთი 500“-ის დაზღვევას უზრუნველყოფს. აღნიშნული პროექტი ასევე გულისხმობს დასავლეთ საქართველოდან ახალი სიმძლავრეების უსაფრთხოდ გამოტანას („ენგურჰესის“ ინტეგრაცია ჯვარის ქვესადგურში). პროექტი მოიცავს, როგორც 500 კვ ეგხ „ჯვარი-წყალტუბო“-ს მშენებლობას, ასევე არსებული ქ/ს „წყალტუბო“-ს გაფართოებას 500 კვ-იანი ფრთით. შემდგომში, არსებულ „წყალტუბო-220“-სა და ახალ ქვესადგურ „წყალტუბო-500“-ს შორის მოეწყობა კავშირი. პროექტის დასრულება 2023 წლისთვისაა დაგეგმილი;

ასევე მიმდინარე პროექტია „ჯვარი-ხორგა“-ს შემაერთებელი ქსელის პროექტის აღნიშნული კომპონენტი მოიცავს 220კვ. ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას ქვესადგურიდან „ჯვარი“ ქვესადგურამდე „ხორგა“ (დაახლოებით 60კმ) და 500კვ. ორჯაჭვა გადამცემი ხაზის „კავკასიონი“ შეჭრას ქვესადგურში „ჯვარი“ (დაახლოებით 8 კმ). პროექტის (ა) და (ბ) კომპონენტების განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ჰესებიდან ელექტროენერგიის გატანას დასავლეთ საქართველოს, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და თურქეთის მიმართულებით და, ამავდროულად, შესაძლებელს გახდის აღმოსავლეთ საქართველოსკენ ელექტროენერგიის მიწოდების ზრდას. პროექტი შეფერხებებით მიმდინარეობდა, მისი მიმდინარეობის პროცესში მოხდა ხელშეკრულების წყვეტა, ამჟამად დასრულების ფაზად განსაზღვრულია 2022 წლის ბოლო[4].

ასევე „ენგურჰესზე“ ამჟამად მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტი, რომელი ჰესის მდგრადობის გაზრდას გულისხმობს. მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს რეაბილიტაციის IV ფაზა. ასევე, ზემოთ უკვე ნახსენები ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის პროექტი და ა.შ.

4 საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (GSE)

რეგიონის ენერგო სექტორში ინვესტირება, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ინვესტორებისთვის საინტერესო შესაძლებლობას წარმოადგენს. მსგავსი ინვესტიციები ხელს შეუწყობს დამატებითი რესურსების მობილიზებას. ენერგო სექტორში ინვესტირება განსაკუთრებით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის, ერთი მხრივ, მომგებიანია რეგიონისთვის როგორც წმინდა ინვესტიცია, მაგრამ ასევე ხელს უწყობს ენერგო უსაფრთხოების და უკეთ გამართული ენერგო ინფრასტრუტურის შექმნას[A3] .

აღსანიშნავია, რომ მხარე გამოირჩევა წყლის უხვი რესურსებით. რეგიონში მდებარეობს 2441 დიდი და მცირე მდინარე. ძლიერი დახრილობისა და დიდი რაოდენობის ნალექების უხვწყლიანობის გამო, სამეგრელოს მდინარეები წარმოადგენენ ელექტროენერგიის წყაროს. მათი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ჯამი 3.3 მლნ. კილოვატია, რაც საქართველოს საერთო ენერგორესურსების 13%-ს აღწევს[A4] .

სწორედ ამიტომ, წლებია პერმანენტულად ხდება ხოლმე აღნიშნულ რეგიონში, კერძოდ მესტიის რაიონში ხუდონჰესის მშენებლობის პერსპექტივის საკითხი. განხორციელების შემთხვევაში, ხუდონჰესი სიდიდით მეორე ჰიდროელექტროსადგური იქნებოდა საქართველოში ენგურჰესის (დადგმული სიმძლავრე 1,320 მგვტ და წლიური გამომუშავება 3.8 ტვტ.სთ-მდე) შემდეგ. ხუდონჰესის დაგეგმილი სიმძლავრე უნდა ყოფილიყო 702 მეგავატი, საშუალო წლიური გამომუშავება 1,5 მილიარდი კვ/სთ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მოძრაობები ხუდონჰესის პროექტის იდეის განახლების შესახებ 2013 წლებში შეიმჩნეოდა, ამჟამად პროექტი შეჩერებულია. ამის მიზეზი გარემოსდაცვითი პრობლემები და ადგილობრივი ხაიშის თემის და სვანეთის მოსახლეობის კატეგორიული წინააღმდეგობაა.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, წარმოებული ელექტროენერგიის მასშტაბი მნიშვნელოვანი იქნებოდა არა მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის, არამედ მთლიანად საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისთვის.

დღეისთვის ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ მცირე და საშუალო ზომის ჰესები წარმოადგენს ყველაზე მარტივ და მდგრად, რაც მთავარია – შედარებით რეალისტურ და განხორციელებად შესაძლებლობას დამატებითი ენერგო წყაროების შესაქმნელად .

ყველა შემთხვევაში ეს რეგიონი ჰიდროელექტროსადგურების მშნებლობის თვალსაზრისით საინტერესოა, თუმცა მნიშვნელოვანი და პასუხგასაცემი კითხვაა შემდეგი – რამდენად სჯობს

მაგალითად 10 მცირე ჰესის პროექტის განხორციელება 1 მსხვილი ჰესის პროექტის განხორციელებას, როგორც ეკოლოგიური თვალსაზრისით, ისე – მოგების, ხარჯთაღრიცხვის თვალსაზრისით და ა.შ. ეს ეხება როგორც მთლიანად რეგიონს, ასევე – წალენჯიხის მუნიციპალიტეტს.

ენერგიის კიდევ ერთი წყაროა თერმული წყლები, რომელთა საბადოები მდებარეობს წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის, მარტვილის და სენაკის რაიონებში. მათზე მცირე პროექტების განხორციელება შესაძლოა საინტერესო იყოს ინვესტორებისთვის ლოკალური მიზნებით და მასშტაბებით.

დასკვნა

განხილული მონაცემები ცხადყოფს, რომ მოსახლეობითა და მასშტაბით საკმაოდ მცირე რეგიონში – წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არის მიმართულებები, სადაც საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და შესაბამისად, ინვესტიციების მოზიდვაა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით საინტერესო შესაძლებლობებია ტურიზმის მიმართულებით („ენგურჰესის“ კასკადის ატრაქციის და სათავგადასავლო, ეკო და გასტრო ტურიზმის თვალსაზრისით); სოფლის მეურნეობის ახალ კულტურების მოშენებასა და ექსპორტირებასთან მიმართებაში; მცირე ჰესებისა და თერმული წყლების ათვისებასთან დაკავშირებით. ამასთან, საინტერესოა, რომ ცენტრალური ხელისუფლების გეგმებში, ენგურჰესისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის გარდა, რეგიონში სხვა მსხვილი პროექტები არ იძებნება; არც საპრივატიზაციო ნუსხაშია დიდი შესაძლებლობები ამ თვალსაზრისით.

ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია გასწიოს ძალისხმევა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ქონების სრულფასოვნად აღნუსხვისთვის და მისი სარეალიზაციოდ გამოტანისთვის – შედგეს სრულფასოვანი სია და დაჩქარებულად მოხდეს ამ ქონების შესახებ ინფორმაციის აქტიურად გავრცელება პოტენციური ინვესტორების მოსაზიდად;

მნიშვნელოვანია შეიქმნას კონკრეტული საინვესტიციო პაკეტები – მაგალითად, უკვე არსებულ პროექტებთან დაკავშირებული ატრაქციების (ენგურჰესის) ირგვლივ და მოხდეს ამ საინვესტიციო შესაძლებლობების/პაკეტების რეალიზაცია; ასევე საინტერესოა მოძიებულ იქნას მცირე ჰესებთან, თერმულ წყლებთან დაკავშირებული კონკრეტული შესაძლებლობები და შესაბამისი პაკეტების მომზადება მოხდეს, შესაძლოა დონორების დახმარებითაც;

მნიშვნელოვანია ადგილზე ტურისტული პოტენციალის უკეთ განსავითარებლად სრულფასოვანი ტურისტული მარშრუტების შექმნის ინიცირება; ადგილობრივი პოტენციური მეწარმეებისა და მოქმედი ბიზნესებისთვის (საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, გასართობი ატრაქციები) მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და შეთავაზებების მრავალფეროვნების გაზრდის მიზნით შესაბამისი ცოდნის მიწოდება და კვალიფიკაციის გაზრდა ამ მიმართულებით;

მცირე ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო და არასახელმწიფო გრანტებისა და დახმარებების (მაგალითად, სახელმწიფო სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ საგრანტო კომპონენტის, სოფლის განვითარების სააგენტოს, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საგრანტო კომპონენტების) შესახებ ცოდნის ზრდა და მათში აქტიურად ჩართვის ხელშეწყობა, რაც შეიძლება მოხდეს როგორც უნარების გაზრდის, ასევე საპროექტო განაცხადების მომზადებაში დახმარების გზით და ა.შ.

EPRC.GE